,, ქალის ხმა იგებს არჩევნებს,, – დისკუსია ფოთში

გვ. 2

კახა შარტავამ ფოთში საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატები წარადგინა

გვ. 2

ფოთის ხმა საქართველოში

ფასი 50 თეთრი №25 9 - 16 ოქტომბერი 2017 წელი გამოდის სამშაბათობით

ხობის საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი სამი საათი მიმდინარეობს

ივეტა პაჭკორია
ფოთი

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი ხობის საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის სწავლის პროცესი სამი საათი მიმდინარეობს. ამის შესახებ თავად აღსაზრდელების მშობლებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია. ამ სიახლემ მშობლებს და მასწავლებლებს პრობლემები შეუქმნა. კონკრეტულად ხობის საბავშვო ბაღებიდან სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც „მზაობის" ჯგუფში არიან, 3 საათიანი მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, 13 საათზე, მშობელს სახლში მიყავს. სამი შვილის დედა, რომელსაც ორი შვილი ბაღში ყავს და ერთი სკოლაში, მთელი დღის გატარება გზაში უწევს. პროექტის ამ სახით განხორციელებამ პრობლემა შეუქმნა არა მარტო მრავალშვილიან მშობლებს, არამედ ბაღის პედაგოგ აღმზრდელებსაც, რადგან ამ ფაქტის გამო ხელფასები საგრძნობლად შეუმცირდათ.

ინფორმაციის გადასამოწმებლად ვეწვიეთ ხობის საბავშვო ბაღების გაერთიანებას. ხობის საბავშვო ბაღებში სულ 1149 აღსაზრდელი ყავთ, აქედან 331 ბავშვი არის სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში. ხობის მუნიციპალიტეტში 23 საბავშვო ბაღია.

გაერთიანების უფროსის ელისო კვიკვინიას განმარტებით, ამ გადაწყვეტილებით მან მოვლენებს გაუსწრო და გაგვიმხილა, რომ არჩევნების შემდეგ სხვა გაერთიანებებიც შეუერთდებიან. „კანონში ბაღების შესახებ წერია, რომ მზაობის პროექტის ხანგრძლივობა 3 საათია, მშობლებს ყველაფერი ავუხსენით და ისინიც გაგებით მოეკიდნენ ამ საკითხს, ხობის გარდა ბაღში 3 საათიანი მეცადინეობა სენაკის ბაღების გაერთიანებამაც განახორციელა. ახალი კანონი ძალაში 2017 წლის პირველ აპრილს უნდა შესულიყო, მაგრამ გადაიდო. ამიტომ ეტაპობრივად დავიწყეთ გადასვლა, ხობის საკრებულომ 29 სექტემბრის სხდომაზე საკვალიფიკაციო აქტები მიიღო. ამის საფუძველზე ჩვენ ეტაპობრივად ვემზადებით კანონის ასამოქმედებლად. კანონის თანახმად სწავლების ხანგძლივობა განისაზღვრება სამი საათით, ჩვენ დავუმატეთ ნახევარი საათი ერთჯერადი კვებით. სანამ ეს პროექტი შევიდოდა ძალაში სამჯერადი კვება

დასასრული 2-გვ.

ხობელი პატრიოტები საარჩევნო დაპირებებით

გვ. 4

ნიკო ნიკოლაძის კოშკში სარეაბილიტაციო სამუშაოებისას აღმოაჩინილ არტეფაქტებს გეოლოგები სწავლობენ

გვ. 7

გოჩა ქაჯაია: ,,ისეთი სამუშაობიც შევასრულეთ რომელიც საარჩევნო დაპირებებში არც კი გვქონია,,

გვ. 2

გოჩა კურდღელია: ,,მთელ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას მოვახმარ იმ საქმის კეთებას, რაც სარგებელს მოუტანს ჩემს ქალაქს,,

გვ. 3

მაია ჩხარტიშვილი: ,,მომეცით შანსი და მე გავამართლებ თქვენს იმედებს,,

გვ. 3

მამუკა გოგბეჩია: ,,ფოთში ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად ემზადება,,

გვ. 2

რა დარღვევები აღმოაჩინა ,,ნაციონალური პარტიის,, ლიდერმა ფოთში

გვ. 5

გაზეთი საარჩევნო რეკლამისთვის გვერდებს დაუთმობს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს. დაგვიკავშირდით:

ქ. ფოთი, 26 მაისის № 7

ტელ: (0493) 22 25 81, 599 34 14 17

განათავსეთ რეკლამა ჩვენთან!!!

„ ქალის ხმა იგებს არჩევნებს„ - დისკუსია ფოთში

ქალ ამომრჩევლების საჭიროებებზე იმსჯელეს დღეს მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატებმა, ფოთის მედიაცენტრის ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე.

დისკუსია პროექტის „ქალის ხმა იგებს არჩევნებს“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

როგორც „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ ფოთის მედიაცენტრის დირექტორმა ინგა გვასალიამ აღნიშნა ორგანიზაციამ ორი თვის განმავლობაში ამომრჩეველ ქალთა საჭიროებების იდენტიფიცირების და დადგენის მიზნით, საქართველოს 8 რეგიონში ჩაატარა შეხვედრები და დისკუსიები.

„ამომრჩეველი ქალების საჭიროებების გამოვლენა და დადგენა მიზნად ისახავდა აღნიშნულ საჭიროებებზე პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების ინფორმირებას, რათა მათი მხრიდან მოხდეს ქალთა საჭიროებების საარჩევნო პროგრამებში გათვალისწინება, არჩევის შემთხვევაში კი ამ საჭიროებებსა და პრობლემებზე მუშაობა“- განაცხადა გვასალიამ.

როგორც მედიაცენტრის დირექტორმა პრეზენტაციისას აღნიშნა ფოთში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შშმ ქალების და დევნილების საჭიროებების იდენტიფიცირებაზე. მოკვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ქალთა საჭიროებები.

ფოთში მცხოვრებ ყრუთა და სმენადაკარგულთა კავშირის ბენეფიციარებს რამდენიმე სერიოზული საჭიროება აქვთ, ესაა: ერთმანეთთან კომუნიკაციის პრობლემა, რადგან არ აქვთ ტელეფონები, რასაც უსახსრობის გამო ვერ იძენენ. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას კავშირში თარჯიმნის სიმცირე წარმოადგენს. კავშირს მხოლოდ ერთი კაცი თარჯიმანი ჰყავს, რომელიც ერთდროულად ყველა ბენეფიციარს ვერ ემსახურება. გარდა ამისა, შშმ პირები ქალი თარჯიმნის დანიშვნასაც ითხოვენ, რადგან არის საკითხები, რომლის შესახებაც კაც თარჯიმანს ვერ ესაუბრებიან. კავშირის ბენეფიციარები ადგილობრივ ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ წლებია ადგილობრივი ხელისუფლებისგან არანაირი დახმარება არ მიუღიათ. ყოველ მათ მოთხოვნაზე ხელისუფლება ბიუჯეტში ამ კუთხით თანხების გაუთვალისწინებლობას ასახელებს. შშმ ქალები მათთვის საარჩევნო თემატიკაზე ტრენინგების ჩატარებასაც ითხოვენ.

უსინათლო პირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებაა ბრაილის შრიფტის შემსწავლელი კურსების ამოქმედება. მოუწესრიგებელი ტროტუარები, სადაც გადაადგილება უჭირთ. უსინათლოთა კავშირის ბენეფიციარეები ითხოვენ 30 ლარიანი დახმარების 50 ლარამდე გაზრდას.

ფოთის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ქალები უპირველეს პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევენ. ქალებმა განსაკუთრებული სიმწვავით დასახლებაში საბავშვო ბაღისა და სკოლის საჭიროებაზე საუბრობენ. მართალია, ბაღი უკვე შენდება, მაგრამ როგორც აღნიშნეს, იგი 90 ბავშვზეა გათვალისწინებული მაშინ, როცა დასახლებაში გაცილებით მეტი ბავშვი იზრდება.

დევნილთა დასახლებაში არ არის სკოლა, ბავშვებს მოშორებით მდებარე სკოლებში უწევთ სიარული, რაც დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული;

ქალები დასახლებაში საბავშვო მოედნების არ არსებობაზე და მისი გაკეთების საჭიროებაზე საუბრობენ; დასახლებაში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა, რის გაკეთებასაც დევნილი ქალები ადგილობრივი ხელისუფლებისგან ითხოვენ;

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის დროული მოგვარების საჭიროებაც არსებობს, ესაა უპატრონო ძაღლები, რომლებიც დასახლებაში მრავლად არიან და რის გამოც, ბავშვებს გარეთ ვერ უშვებენ და ვერც თავად გრძნობენ დაცულად თავს. შეხვედრისას ქალ ამომრჩევლების გააქტიურებაზე და გამარჯვების შემთხვევაში მათი საჭიროებების ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებაზე იმსჯელეს მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატებმა.

მერობის კანდიდატი „ნაციონალური მოძრაობიდან» მაკა ჯინჯოლია თვლის, რომ:

პოლიტიკაში ქალების გააქტიურებას მიეხალმება „დემოკრატიული მოძრაობა — თავისუფალი საქართველოს» პროპორციული სიის №6 კანდიდატი სვეტლანა ზარანდია და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის» მერობის კანდიდატი მაია ჩხარტიშვილი:

მაჟორიტარობის ახალგაზრდა კანდიდატებმა „ნაციონალური მოძრაობიდან» ისაუბრეს ქალების მეტად გააქტიურებაზე, როგორც პოლიტიკაში, ასევე ამომრჩეველი ქალების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობაზე.

დისკუსიის დასასრულს მედიაცენტრის მიერ კანდიდატებისთვის გაიცა რეკომენდაციები.

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

ქეთი ჩებანი (ფოთი) 598 40 10 23

ივეტა პაჭკორია (ხობი) 568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გოჩა ქაჯაია: „ისეთი სამუშაობიც შევასრულეთ რომელიც საარჩევნო დაპირებებში არც კი გვქონია„

ივეტა პაჭკორია
ხობი

ხობის მუნიციპალიტეტში საარჩევნო სამზადისი ჯერჯერობით მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. მერობისათვის ოთხი კანდიდატი იბრძვის. დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ქალაქის მოქმედი გამგებელი გოჩა ქაჯაია

– ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ ხობის მუნიციპალიტეტს არ ქონდა წყალი. ჩვენი მუნიციპალიტეტის აქტიური მუშაობით, სამინისტროსთან კოორდინირებული მუშაობითა და ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციით მივაღწიეთ იმას, რომ მალე ხობს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება. თუჯის მილები, რომელიც დაჟანგული და მწყობრიდან იყო გამოსული და რომელიც მცირე წნევის დროსაც სკდებოდა და წყალი ქუჩებში იღვრებოდა, გამოიცვალა. ახლა ტესტირების რეჟიმშია, ამიტომ ხობს მალე ახალი წყალმომარაგება ექნება. წყალმომარაგების პრობლემა იყო ხეთასა და თორსაში, დღეს 680 აბონიმენტს მიეწოდება წყალი. ასევე ზემო ქვალონში 27 კილომეტრზე გავაკეთეთ წყალმომარაგება. ქვალონის წყლმომარაგების ნაწილი მოვაგვარეთ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარებულიყო, 21 საუკუნეში არ შეიძლება ადამიანი უწყლოდ იყოს. პირველი საკითხი და პრიორიტეტი არის წყალი, ამის შემდეგ მოდის გზა, გაზი. ამჟამად, შუა ხორგიდან ყულევამდე 16 კილომეტრიანი გზის მშენებლობა მიმდინარეობს.

– საუბარი იყო რომ ამ გზას აკეთებდა ყულევის ტერმინალი

– სახელმწიფო აკეთებს, პროექტის ღირებულება არის 8 მილიონი. ქარიატას და ყულევს არასდროს ქონია წყალმომარაგება. ამ სოფლებშიც ვგეგმავთ წყლის პრობლემის მოგვარებას. გაერთიანებული წყალმომარაგებიდან უკვე მივიღეთ ნებართვა 600 მილის დაერთებაზე და მალე ამ სოფლებშიც მოგვარდება წყლის პრობლემა. ეს შეიძლება ჩაითვალოს საუკუნის პროექტად, რადგან მანდ წყალმომარაგება არასდროს არ ყოფილა. ჩვენი მმართველობაში მოსვლის შემდეგ ხობის შიდა გზების 80% რეაბილიტირება მოხდა. სოფლებშიც დავიწყეთ გზების მოწესრიგება, პატარა ფოთში მიმდინარეობს ბეტონის საფარის დაგება, ასევე ბეტონის საფარი იგება მაღალმთიან სოფლებში, სადაც ფერდობები ირეცხება. ხეთის მიქამგარიობის ეკლესიის და პირველ მაისში ეკლესიის ასასვლელ გზაზე დაიგო ბეტონის საფარი. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი რაიონი გამორჩეულია ინფრასტრუქტული პროექტების განხორციელების კუთხით. გასულ წლებში ხობის მუნიციპალიტეტი გამოცხადა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის ათვისებაში. არამარტო ინფრასტრუქტურული პროექტები, არამედ სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხითაც. „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტი ძალიან წარმატებული პროექტები განხორციელდა. აშენდა ზეთის და პლასტმასის ქარხნები. ახლა კეთდება ხილის შემნახველი მაცივრები, პირველ მაისში აშენებენ დაფნის ქარხანას. ასევე ნოჯიხევში ძალიან დიდი დაფნის წარმოების ქარხანა.

–მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქარხანა ჯერ კიდევ გასულ წელს აშენდა ფუნქციონირება ჯერ არ დაუწყია

–მართალია, მეტალოპლასმასის ქარხანა გაიხსნა და ამუშავდა, მაგრამ ახლა აქვთ პროდუქციის რეალიზების პრობლემა და დროებით შეფერხდნენ. ყველა ქარხანას თავისი ვალდებულებები აქვს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქარხნები მალე ამუშავდება და გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილი.

– როდის დამთავრდება გაზიფიცირება?

– მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს გაზიფიცირება.

დასასრული 5-გვ.

კახა შარტავამ ფოთში საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატები წარადგინა

„შენების მოძრაობის” ერთ- ერთმა ლიდერმა და დამფუძნებელმა, კახა შარტავამ ფოთში საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატები და პროპორციული სია წარადგინა.

„შენების მოძრაობის” მაჟორიტარები არიან კუნძულის უბანი ერთი — ლევან მარშავა, კუნძულის უბანი ორი — იაგორ თავართქილაძე, კუნძული სამი ალექსანდრე თოფურია, ნაბადის უბანი — მერაბ სიმონია, ნაბადის უბანი ორი — ცეზარ წულაია, ცენტრის უბანი — ვასილ დანელია, მალთაყვის უბანი — კახა ბუსკაძე.

წარდგენაზე კანდიდატებმა მხარდამჭერებს პრიორიტეტები გააცნეს და საკრებულოში მოსვლის შემთხვევაში არსებულ პრობლემების მოგვარებაზე ისაუბრეს.

მამუკა გობეჩია: „ფოთში ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად ემზადება„

„ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით არჩევნების გასაყალბებლად ემზადება“ — ამის შესახებ

განცხადება გააკეთა დღეს სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს ფოთის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა მამუკა გობეჩიამ.

გობეჩიას ამის თქმის შესაძლებლობას არსებული ამომრჩეველთა სიები აძლევს. როგორც მან განაცხადა ამომრჩეველთა სიებში ისეთი ქუჩები და შენობებია შეყვანილი, რომლებიც საერთოდ არ არსებობს. ასევე რამდენიმე ქუჩა არასწორადაა მიბმული საარჩევნო უბნებს.

როგორც ბრიფინგზე განაცხადეს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს ფოთის საარჩევნო შტაბი გააგრძელებს მონიტორინგს, შეისწავლის თითოეული ქუჩის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვს იუსტიციის მინისტრის გადადგომას და 70-ე საოლქო საარჩევნო კომისიის დაშლას.

აღნიშნულთან დაკავშირებით 70-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში კომენტარს არ აკეთებენ..

ფოთში თვითმართველობის არჩევნებში, მერობის 7 კანდიდატი დარეგისტრირდა. გაზეთი ,,მთავარი თემა სამეგრელოში,, გთავაზობთ ინტერვიუს თითოეულ მათგანთან. დღევანდელი ნომრის სტუმრები გახლავთ ქართული ოცნებიდან გოჩა კურდღელია და პატრიოტთა ალიანსიდან მაია ჩხარტიშვილი.

გოჩა კურდღელია: ,,მთელ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას მოვახმარ იმ საქმის კეთებას, რაც სარგებელს მოუტანს ჩემს ქალაქს,,

თეკლე მატკავა
ფოთი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება და ჩვენ ქალაქის მერობის მსურველები აქტიურად იბრძვიან ამ სტატუსის მოსაპოვებლად. ხელისუფლების კანდიდატი ბიზნესმენი გოჩა კურდღელია ასევე მუხლჩაუხრელად იბრძვის ქალაქის პირველი პირის ადგილის დასამკვიდრებლად. კურდღელია 2006-2010 წლებში უკვე გახლდათ საკრებულოს წევრი, ასე, რომ მას პოლიტიკური გამოცდილება უკვე გააჩნია.

-რატომ უნდა აგირჩიოთ ფოთელებმა მაინცადამაინც თქვენ?

-ფოთი ჩემი მშობლიური ქალაქია. აქ დავიბადე და აქ გავატარე ჩემი შეგნებული ცხოვრება. აქ უნდა იცხოვრონ ჩემმა შვილებმა და მათმა შვილებმაც და ასე შემდეგ. ასე რომ, ჩემთვის ფოთისა და ფოთელების კეთილდღეობისათვის ბრძოლა და შრომა ღირსების საკითხია, ხოლო ვინც მე მიცნობს, იცის კიდეც, რომ როცა საქმე ჩემი ქალაქისა და თანაქალაქელების კეთილდღეობას ეხება, არ დავიზარებ საქმის კეთებას. მთელ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას მოვახმარ იმ საქმის კეთებას, რაც სარგებელს მოუტანს ჩემს ქალაქს და მაცხოვრებლებს. როგორც გითხარით, მე მიცნობს ჩემი ქალაქი და იციან ფოთელებმა, რომ დაპირების შესრულებას აუცილებლად ვეცდები და მუდამ მათი კეთიდღეობისა და ქალაქის განვითარებაზე ვიზრუნებ. დღევანდელ რეალობაში დიდი პერსპექტივა მაინც ჩვენს გუნდს აქვს. არ უნდა გაუჭირდეს ამომრჩეველს სწორი გადაწყვეტილების მიღება.

-რატომ გადაწყვიტეთ ბიზნესიდან პოლიტიკაში მოსვლა? რა იყო წინაპირობა, რომ პოლიტიკაშიც გეცადათ ბედი

-სიმართლე გითხრათ ამაზე არ მიფიქრია. ჩემმა მეგობრებმა შემომთავაზეს. როცა დავინახე, რომ მათ ჩემი სწამდათ და სჯეროდათ, რომ დაინახეს ჩემში ამ საქმის საკეთებელი ძალა და ენერგია, დავთანხმდი. ვიცი, რა გამოწვევებიც დგას ქალაქის წინაშე, რა პროექტებია განსახორციელებელი. მე ფოთელი ვარ. როგორც გითხარით მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი და ხალხი. გარწმუნებთ თქვენც და ჩემს თანაქალაქელებსაც, ყველა პროექტის განხორციელებისათვის თავდაუზოგავად ვიშრომებ.

-კონკრეტულად რომელი პროექტების განხორციელებას გეგმავთ გამარჯვების შემთხვევაში ?

-ეს არის სტადიონის მშენებლობის გაგრძელება, ბულვარის მშენებლობის დამთავრება და მისი კომერციული დატვირთვა, ქალაქის შემოსასვლელ ხიდი და წყალმარეგულირებელი კომპლექსის რეაბილიტაცია - მოგეხსენებათ აქ არ არის სახარბიელო მდგომარეობა, ასევე საცურაო აუზისა და სპორტული კომპლექსის აშენება. არის სხვა პროექტებიც - მაგალითად ახალგაზრდული ბიბლიოთეკის გახსნა, სულ ახლო ხანში იგეგმება სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობა. გვაქვს სერიოზული გეგმები სამომავლოდ - ახალ ნავმისადგომის აშენება. ამას გარდა, თავისუფალი ინდუსტრიალ ზონაში ჩინური კომპანია აპირებს 150 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას 2 წელიწადში. სამუშაო ნამდვილად ბევრია. მქონდა შეხება ასეთ პროექტებთან და მაქვს გარკვეული გამოცდილება. ამიტომაც მივიღე მსგავსი გადაწყვეტილება.

-თქვენ სტადიონის მშენებლობა ახსენეთ, რომელიც დაუმთავრებელ პროექტების ნუსხაშია უკვე წლებია.

- გამარჯვების შემთხვევაში პირველ რიგში, ვეცდებით დიდი დრო დავუთმოთ სატენდერო დოკუმენტაციებს, რათა მასში გათვალისწინდეს ყველა ნიუანსი და აღარ განმეორდეს ასეთი შემთხვევები.

- თქვენი აზრით რა რეზერვები არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტის გასაზრდელად?

-რაც შეეხება რეზერვს – ცენტრალური დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მიღებული საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან მიღებული თანხები აისახება ადგილობრივ ბიუჯეტში. ასევე ვეცდებით ხელი შევუწყოთ მცირე ბიზნესის განვითარებას. ჩვენი ძირითადი საქმიანობა წარმართული იქნება ინვესტორების მოზიდვაზე. რა თქმა უნდა, კერძო ინვესტიციები გაზრდის საბიუჯეტო ფინანსებს. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს, გავზარდოთ ქალაქის ბიუჯეტი.

-როგორ ფიქრობთ, როგორც ბიზნესმენი, არჩევის შემთხვევაში როგორ გაართმევთ თავს ქალაქის ხელმძღვანელობას. თქვენი აზრით რა არის მსგავსება ამ საქმიანობებს შორის?

-მინდა გითხრათ, მეტ-ნაკლებად ვიცნობ ამ სფეროს, 4 წელი საკრებულოს წევრი ვიყავი. სიმართლე გითხრათ, აქამდე არ მიფიქრია და საარჩევნო კამპანიაში ჩაბმის მერე დავფიქრდი, რა არის მთავარი ქალაქის მართვაში და რის გადაღება შეიძლება ბიზნესიდან. საზღვარგარეთის დიდ კომპანიებში შემუშავებულია ისეთი სტრუქტურა, რაც კარდინალურად განსხვავდება ჩვენგან და უფრო თანამედროვეა. პირველ რიგში შესაცვლელია ს=აქმისადმი მიდგომა, ასევე საქმის წარმოების სტრუქტურა, რაც მოგვცემს იმის საშუალებას. რომ ქალაქის მმართველების მიერ განსახორციელებელი სერვისები უფრო ორგანიზებული იქნეს, რაც საერთო ჯამში, აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

-წლების განმავლობაში განიხილება და ყბადაღებულ თემად იქცა გაბერილი შტატები. თქვენ როგორ ხედავთ ამ საკითხს?

-მიმაჩნია, რომ სამუშაო ადგილები უნდა შექმნას კერძომ და არავითარ შემთხვევაში, სახელმწიფო სექტორმა. სახელმწიფო ვერ იქნება დამსაქმებელი. შესაძლოა, ეს არაპოპულარული თემაა, მაგრამ ასეა. თუ ქვეყანას სურს განვითარება, კერძო სექტორი უნდა

დასასრული 6- გვ.

მაია ჩხარტიშვილი: ,,მომეცით შანსი და მე გავამართლებ თქვენს იმედებს,,

ივეტა პაჭკორია
ფოთი

თვითმმართველობის არჩევნებამდე ორიოდე კვირაღა დარჩა. მერობის კანდიდატი მაია ჩხარტიშვილი. პროფესიით ექიმი, ფოთში პარტია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნებელია. დღეს საკრებულოს წევრი და სოციალური კომისიის თავმჯდომარე, მერობის პოსტისათვის „პატრიოტთა ალიანსიდან" იბრძვის.

- რამ განაპირობა თქვენი „ქართული ოცნებიდან" წამოსვლა და მერობისათვის ბრძოლა „პატროიტთა ალიანსიდან"?

--მეგონა, რომ ეს იყო გუნდი და ჩვენ გვქონდა ერთი მიზანი. ვფიქრობდი, რომ ეს იყო ფოთის და ფოთელების სამსახურში მყოფი ხელისუფლება. ამ თანამდებობაზე ორ წელიწად ნახევარია რაც ვმუშაობ და არაერთ პროექტზე მიმუშავია, მათ შორის "ემერჯენსი", მიუხედავად იმისა, რომ პროექტები დაბალ ბიუჯეტიანი იყო და ჯანდაცვის სამინისტროდან მხარდაჭერაც მქონდა, წინააღმდეგობები ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან წარმოიშვა. მპირდებოდნენ, რომ პრიორიტეტული პროექტები 2017 წლის ბიუჯეტში ჩაიდებოდა და დაფინანსდებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროექტზე მუშაობისას დამიკავშირდა ნავსადგურის ხელმძღვანელობა და მითხრა, თუ გავაკეთებდი ამ პროექტს, ის დააფინანსებდა ეზოს კეთილმოწყობას. ეზოს კეთილმოწყობა ბიუჯეტში გათვლილი არ გვქონდა. ცნობილი გახდა, რომ ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტები არ დაფინანსდა. მაშინ, როდესაც უცხოელი მზადაა დაგეხმაროს, ქალაქის მერს რატომ არ უნდა გაღელვებდეს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი?

– როდის მიიღეთ პარტიის დატოვების გადაწყვეტილება?

– გადაწყვეტილი მქონდა თებერვალ-მარტში გავაკეთებდი განცხადებას და დავტოვებდი თანამდებობას და საჯარო სივრცეში ჩემი მოღვაწეობა საერთოდ დასრულდებოდა. ფრაქციის ხელმძღვანელს ვუთხარი, რომ თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს სიის პირველი ნომერი იქნებოდა ირაკლი კაკულია, მე დავტოვებდი პარტიას, რადგან, ვფიქრობ, რომ ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების დაუფინანსებლობის ხელშემშლელი იყო სწორედ ქალაქის მერი ირაკლი კაკულია. ასევე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაც არ მიწყობდა ხელს და ამიტომ გადავდე განცხადების გაკეთება.

– რა უპირატესობა გაქვთ სხვა მერობის კანდიდატთან შედარებით?

– ვთვლი, რომ მეტი გამოცდილება მაქვს და მეტი შეხება მქონდა ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან და ეს არ არის ამბიციური განცხადება. პროფესიით ვარ ექიმი და კარგად ვიცი რა ჭირს ჩვენს ქალაქს სამედიცინო კუთხით, არამარტო სამედიცინო სერვისის მიწოდებით, არამედ დაზღვევის კუთხითაც. რატომ არ უნდა იყოს დაზღვევის სერვის ცენტრის ოპერატორი ფოთში.

– რატომ მერი? ქალაქისათვის სიკეთის კეთება, სხვა სამსახურიდანაც შესაძლებელია

– ამ კითხვას ძალიან ბევრი მისვამს, ვუპასუხებ, რომ ბოლო სიტყვა უწყებათაშორის დებულებაში აქვს მერს. ამიტომ, მინდა, რომ ჩემი ქალაქისთვის ბოლო სიტყვა ვთქვა, როგორც მერმა. მინდა, რომ ჩავიდე თბილისში და სამინისტროებში თამამად და ამაყად ვთქვა სიტყვა ფოთი და მოვითხოვო ყველაფერი რაც საჭიროა ფოთელებისთვის. მე არ დავიშურებ არც ძალას, არც ენერგიას, ოცდაოთხ საათს ვიმუშავებ ჩემი თანაქალაქელებისთვის. თუმცა, არც არასოდეს მთავრდება ჩემი სამუშაო საათი განსაზღვრულ დროს.

-კანდიდატებთაგან კონკურენტად ვის თვლით?

– ჯანსაღი კონკურენტული, დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემო, რომ იყოს სხვა საკითხია. კონკურენტად შეიძლება ჩაითვალოს სამთავრებო გუნდის კანდიდატი. უკლებლივ ყველა კანდიდატს დებატებში ვიწვევ. პირადად მე მზად ვარ ნებისმიერი კითხვისთვის ნებისმიერ ფორმატში.

– თქვენი გამარჯვების შემთხვევაში პირველი რასაც შეცვლით?

– პროგრამა უკვე მზად მაქვს, ვეცადე გამეკეთებინა ისეთი პროგრამა, რომელსაც დიდი პროცენტით განვახორციელებ. მე გამოვყავი სამი მნიშვნელოვანი პუნქტი, უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა და სოციალური კეთილდღეობა. უსაფრთხოებაში პირველი პუნქტი არის მდინარე რიონზე არსებული კვანძის უსაფრთხოება, შემდეგ სიცოცხლე და ჯამრთელობა, რომელიც ფოთის რეალობაში არა თუ ნულზე არამედ მინუსებშია. სწორედ ასე ვუთხარი ჯანდაცვის მინისტრსაც. რაც შეეხება ჰიდროგრაფიული კვანძთან დაკავშირებით ჯერ კიდევ შარშან ვიმუშავე, როგორც მუნიციპალური განვითარების სამსახურთან, ასევე მელიორაციის სამსახურთან ერთად. მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭირო კვლევა, რომელიც 2009 წლის შემდეგ არ ჩატარებულა , რომლის შემდეგ გამოჩნდება რეალურად რა საფრთხის წინაშე დგას ფოთი. ქალაქში არსებული თითქმის ყველა პრობლემის მოგვარების საკითხზე ჯერ კიდევ ჩემი საკრებულოში მუშაობის დაწყების პირველი შვიდი თვის განმავლობაში გავიარე და შევიმუშავე პრობლემის გადაჭრის პროგრამები. ზუსტად ვიცი მერობის შემთხვევაში პირველი რასაც გავაკეთებ, ეს არის ქალაქის განვითარების კონცეფცია.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის შეიქმნას შესაბამისი გარემო, რათა თავიანთი პოტენციალის რეალიზება მოახდინონ და არ დატოვონ ქალაქი. შარშან ვიმუშავე ახალგაზრდული ცენტრის თემაზე, რუსთავში დავათვალიერე ახალგაზრდული ცენტრი, მინდოდა ანალოგიური ცენტრი აშენებულიყო ფოთში, ახალგაზრდული ცენტრი ეს არის ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების საშუალება, სოციალური საწარმოე-

დასასრული 6- გვ.

№25 9-16 ოქტომბერი 2017წელი

ხობელი პატრიოტები საარჩევნო დაპირებებით

ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა და პოლიტიკური ტემპერატურაც მატულობს ხელისუფლებაში მოსასვლელად ბევრი იბრძვის და დაპირებებიც, ჩვეულებისამებრ, უხვადაა. მოსახლეობას არჩევანის ფართო სპექტრი ჰყავს და მისი გადასაწყვეტია, ვინ იქნება წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმმართველობაში.

ჩვენ ამ სტატიაში სამ მაჟორიტარ კანდიდატს წარმოგიდგენთ, რომლებსაც ერთი და იგივე კითხვები დავუსვით:

როგორც „პატრიოტთა ალიანსის" საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე ველოდი ლაგვილავა ამბობს საარჩევნო გარემო ხობში მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. თუ რატომ არ ყავს პარტიას ხობში მერობის კანდიდატი, ამაზე ლაგვილავა გვპასუხობს: „სამეგრელოს პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი პარტია ბოლო 2 წელია რაც აქტიურად გამოჩნდა, ამიტომ, ჯერ სოფლიდან ვიწყებთ აქტიურობას და მომავალ მერის არჩევნებზე ჩავერთვებით". ლაგვილავამ ჩვენთან დარღვევებზეც ისაუბრა. მისი განმარტებით საუბნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ არის, მათ გამოსავლენად კენჭისყრა არ ჩატარებულა. ასევე ხდება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

ზრისტან ვადაქარია

სოფელ გურიფულის მაჟორიტარობის კანდიდატი. 90-იან წლებში გურიფულის გამგებელი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საჯარო სამსახურში აღარ უმუშავია. სხვადასხვა დროს თანამშრობლობდა ჟურნალ-გაზეთებთან და ყოველგვარი სტატუსის გარეშე ემსახურებოდა სოფელს.

მაკა ჩარტია

სოფელ ხამისკურის მაჟორიტარობის კანდიდატი. პროფესიით ადვოკატი. აქვს 15 წლიანი საადვოკატო გამოცდილება. ამჟამადაც ეწევა საადვოკატო საქმიანობას. გახლავთ წინა მოწვევის საკრებულოს კანდიდატი.

ნუკრი ბასილაია

სოფელ ახალი ხიბულის მაჟორიტარობის კანდიდატი. პროფესიით ისტორიკოსი. 9 წლიანი პედაგოგიური სტაჟით. სკოლების რეორგანიზაციის შედეგად მისი სამუშაო ადგილი შემცირდა. 2012 წლიდან ხელიუფლების შეცვლის შემდეგ ჩაერთო პოლიტიკაში .

– რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა

ჩემი სოფელი ძალიან ჩამორჩენილია. არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა. სოფელს არ გააჩნია არც საგანმანათლებლო, სამედიცინო თუ კულტურული დაწესებულება. გურიფული ფაქტობრივად ორი ნაწილისაგან შედგება, რომელსაც მდინარე ხობი ყოფს. მაგრამ ერთმანეთს ძალიან დაშორებულნი არიან, რადგან არ არსებობს დამაკავშირებელ ხიდი, რომლის აშენებაც აუცილებელი და სასწრაფოდ მოსაგვარებელია-პირველი გურიფულის მოსახლეობა ვერ სარგებლობს მეორე გურიფულის სკოლით, ეს უკანასკნელი კი პირველი გურიფულის საბავშვო ბაღით. პირველი გურიფულის სკოლაც გააუქმეს. სკოლის უქონლობა იწვევს მიგრაციას ქალაქში. ასევე ცნობილია, რომ სოფელში იყო თეატრალური დასი და ფოლკლორული ანსამბლი.

10 წელია ვაყენებ საკითხს, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კულტურულ დაწესებულების შექნის თაობაზე. ყველა დაპირებას იძლეოდა მხოლოდ. ყველა „სიკეთესთან" ერთად სოფელს ადმინისტრაციული შენობაც კი არ გააჩნია. ის ხობშია განთავსებული და ყველა საკითხზე ადგილობრივი მოსახლეობას იქ უწევს ჩასვლა, რაც პრობლემას ქმნის ტრანსპორტის უქონლობის გამო.

ჩემი სოფლის პრობლემები ჩემთვის ძალიან ახლობელია. წლების განმავლობაში სოფელ ხამისკერში არ განხორციელებულა არც ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, არ გადაჭრილა არც ერთი პრობლემა. სოფლისათვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს გზის გაუმართაობა. ხამისკური მთაგორიანი სოფელია, ყოველი წვიმის შემდეგ წყალს გადინება უჭირს და ამის ფონზე გზებზე გადაადგილების პრობლემა იქმნება. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სოფლის ამბულატორია, არ გვაქვს საზოგადოებრივი ცენტრი და ბიბლიოთეკა. ხამისკურში ორი სკოლა არის, ერთი არ ფუნქციონირებს, მეორეში კი საშინელი მდგომარეობაა. ოთახები იმდენად ამორტიზირებულია, შეუძლებელია მანდ სწავლება. ამიტომ მოსწავლეების უმეტესობა ქალაქის სკოლებში გადმოვიდა. ადგილობრივი ხელისუფლების გულგრილობა ახალგაზრდების მიგრაციას უწყობს ხელს. კონკრეტულად ხამისკურის სოფლისთვის თანხების მიზნობრივი გამოყენება არ მომხდარა. სწორედ ამან მაფიქრებინა პოლიტიკაში მოსვლა.

ჩემი პოლიტიკა მომავალი თაობის კარგ ქართველებად აღზრდა, მათვის განათლების მიცემა იყო. ახალ ხიბულაში დიდი პრობლემაა ის, რომ წინა ხელისუფლებამ სოფლის მიწების 80 პროცენტი იტალიურ კომპანია "აგრო ჯორჯიას" იგივე ფერეროს მიყიდა. კომპანიამ იქ თხილის პლანტაციები გააშენა .სოფლის მოსახლეობა კი სამოსახლო მიწისა და საძოვრების გარეშე დარჩა. კომპანიამ პირობა დადო, რომ მოსახლეობის 80 პროცენტს დაასაქმებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მუშები სხვდასხვა რეგიონიდან ჩამოყავთ. არანაკლები პრობლემა გახლავთ თხილის შესაწამლი შხამქიმიკატები, რომელსაც ტონობით ასხამენ. სოფლის ეკოლოგიური მდგომარეობა კატასტროფის წინაშეა. შესაძლოა, მალე ჩერნობილივით დახურულ ზონად გამოცხადეს. მოუწესრიგებელია შიდა გზები. ისეთ მდგმარებაშია, სასწრაფოს საათები ჭირდება მოსაღწევად, რაც პრობლემას უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ასევე აქტუალურია ამბულატორისა და აფთიაქის გახსნა. სოფელში

– რატომ უნდა აგირჩიოთ ამომრჩევლებმა თქვენ?

წარდგენილ კანდიდატებისაგან განსხვავებით, რადგან ვიცი ჩემი სოფლის პრობლემების მოგვარების გზა. ჩემმა სოფლელებმა იციან, რომ მე მათ ინტერესების დამცველი ვიქნები მუდამ და მათ მხარდაჭერის იმედიც მაქვს. სოფელში მიმდინარეობს ტაძრის მშენებლობა, რომლის გუმბათი უკვე შევადუდაბეთ და შევჩერდით სახსრების უქონლობის გამო. სწორედ ამ საკითხების მოგვარების სურვილმა გადამაწყვეტინა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. რამდენი წელია "ზემო" მთავრობები უინიციატივო, ასე ვთქვათ, გულგრილ კანდიდატებს გვაჩჩებს. სოფლისათვის ეკლესიის მშენებლობაზე დიდი რა უნდა იყოს? არც ერთ მაჟორიტარობის კანდიდადტი არ მინახავს არც მხარდასაჭერად და მითუმეტეს, არც დასახმარებლად.

ახალი სახე ვარ პოლიტიკაში,ვარ ენერგიული, შრომისმოყვარე, რაც ხამისკურში მცხოვრებმა მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის. უკვე ათეული წელია ხამისკურში ერთიდაიგივე მაჟორიტარი დეპუტატი გვყავს, ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა ხამისკურისთვის, დროა ჩვენთანაც მოაღწიოს ცვლილებებმა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ვიცი როგორ მივუდგე ამათუიმ პრობლემას, რა გზით გადავჭრა და დავეხმარო ადამიანებს. უფრო შემიძლია სოფლის პრობლემების გადაჭრა, ვიდრე დღევანდელ წარმომადგენელს საკრებულოში. კარგად დავინახეთ ამ წლების მანძილზე, ამ ადამიანებს არაფერი სასიკეთო გაუკეთებიათ სოფლისათვის. 4წლის განმავლობაში პროექტიც კი არ მოუტანიათ სოფლამდე. ყველაფერს გავაკეთებ, იმისათვის რომ სოფლის პრობლემები მივიტანო შესაბამის სამსახურებში და პრობლემის მოგვარებაზე ვიზრუნო. ვფიქრობ, რომ ჩემს სოფელს ვჭირდები.

ჩემმა თანასოფლელებმა კარგად იციან, რომ უკან არასდროს დამიხევია ჩემი სოფლელების პრობლემების მოსაგვარებლად. მუდამ სიმართლეს ვამბობდი და ასე იქნება სულ. სოფლის მოსახლეობამ კარგად იცის, რომ ჩემთვის მიუღებელია "პოლიტიკური ქორწინება". მესმის, რომ პოლიტიკაში რაღაც დათმობებზე წასვლა გიწევს რაღაცის საფასურად. შეცდომისაგანაც არავინაა დაზღვეული, მაგრამ დანაშაული რაც წინა მთავრობამ ჩაიდინა, არ არის ადვილი საქმე და არც მისი პატიებაა შესაძლებელი. ადამიანები იცვლიან პარტიებს, მაგრამ მაგალითად, ყოფილი ნაციონალი, რომელიც ქვებით და ჯოხით დამდევდა თავმჯდომარეობის დროს, ახლა ოცნების კანდიდატია. ასეთი რამ მიუღებელია ჩემთვის.

– თქვენი არჩევის შემთხვევაში რა იქნება თქვენი პრიორიტეტები

პირველ რიგში გადავჭრიდი ორი სოფლის დამაკავშირებელი ხიდის პრობლემას, მოვაგვარებდი ადმინისტრაციული შენობის საკითხს, ასევე, სკოლის, კულტურული და სამედიცინო დაწესებულებების.
ასევე სოფლის ინფრასტრუქტურისა და გარე განათება მოწესრიგება, კეთილმოვაწყობდი სოფლის ცენტრს.

პრიორირტეტი იქნება სოციალურად დაუცველი ადამიანები, რომელსაც ჰაერივით სჭირდება თითეული თეთრი. ბიუჯეტის დაგეგმის დროს პრიორიტეტულ საკითხად გამოვყოფდი და დავაყენებდი გზის,არხების კეთილმოწყობას. ასევე სოციალურად დაუცველი ხალხისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თითოეული თეთრის მათთვის მიტანა.

პირველი, რასაც მოვითხოვ ესაა გაისინჯოს მიწის გრუნტის, ჰაერისა და წყლის მდგომარეობა. მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ 15 მეტრის სიღმემდე სასმელი წყალი უვარგისია, მაგრამ ამას მალავენ. რაც ასევე პრობლემაა და გამოსწორებას საჭიროებს. კულტურული დაწესებულების ამოქმედებაა. რასაც კიდევ მოვაგვარებ სალოცავის აშენება და შიდა გზების მოწესრიგება გახლავთ სოფელში

ივეტა პაჭკორია
ხობი

სტატია ქვეყნდება "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" და ასოციაცია "დემოკრატიული აღმოსავლეთის" ერთობლივი პროექტის – "შენი მუნიციპალიტეტი, შენი ხმა" ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების პოზიციას. შესაბამისად, "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" და ასოციაცია "დემოკრატიული აღმოსავლეთი" არ არიან პასუხისმგებელები მასალის შინაარსზე

რა დარღვევები აღმოაჩინა „ნაციონალური პარტიის„ ლიდერმა ფოთში

ივეტა პაჭკორია
ფოთი

არჩევნებამდე რამდენიმე კვირა დარჩა, თუმცა განსაკუთრებული აქტივობა ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა. საარჩევნო სიებში დარღვევებსა და ზეწოლაზე

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნაციონალური პარტიის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ლიდერი დარეჯან ცხვიტარია ალაპარაკდა. ცხვიტარიას თქმით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაყალბებისათვის სამზადისი, ჯერ კიდევ საარჩევნო სიების შედგენისთანავე დაიწყო და არც ზეწოლას ერიდება. ცხვიტარიას განმარტებით:

„აღმაშენებლის ქუჩაზე ბოლო კორპუსი ნუმერაციით არის 55, სიაში კი, ბოლო კორპუსი 67 ნომერია. 6 კორპუსის დამატება, არც ისე ცოტაა. თუ აღმაშენებელზე ზედმეტი კორპუსები იყო, დევნილების დასახლებაში ამოღებული იყო 2 ა, 6 ა, 10 ა, ამ კორპუსის მცხოვრებლების უმრავლესობა, ჩვენი მომხრე იყო. ჭანტურიას ქუჩას კი, საერთოდ არ აქვს ნუმერაცია, მხოლოდ ქუჩის დასახელებაა შეტანილი. რამდენი ადამიანი უნდა მივიდეს ამ ჭანტურიას ქუჩიდან არ უნდა იყოს მითითებული?! არ ამიტეხია ხმაური, პიარი არ მჩვევია, მივედი საოლქოში და ვთხოვე, გაესწორებინათ სიები, თუმცა დავპირდი არ გამოსწორების შემთხვევაში, ამ ფაქტის დატოვებას ასე მშვიდად არ ვაპირებდი ". ხარვეზი ნაწილობრივ იქნა გამოსწორებული. კერძოდ, ახალ რაიონში ჩამატებული იქნა ბინების ნუმერაცია.

70-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, სალომე როდონაიას თქმით, ცხვიტარიას შენიშვნა გამოსწორებულ იქნა. თუმცა, მისი აზრით, საჭიროა პოლიტიკურმა პარტიებმა არასაარჩევნო პერიოდშიც იზრუნონ საარჩევნო სიებზე, რაც ხელს შეუწყობს არჩევნების დროს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

„რაც შეეხება დარღვევებს, ჩვენთან მოსული იყო დარეჯან ცხვიტარია. არანაირი კორპუსების დამატება არ მომხდარა, ჩვენ ამ სიას გვაწვდის ცენტრალური საარჩევნო კომისია. ყოველწლიურად მოდის პრობლემური სია, ჩვენ მუნიციპალიტეტში ვრეკავთ და ვარკვევთ, რეალურად არსებობს თუ არა, აღნიშნული სახლი თუ კორპუსი. შემდეგ ამ სიას ვუგზავნით ცსკო-ს. იმ მოკლე დროში რაც შეგვეძლო გამოვასწორეთ დარღვევა. დანარჩენ შემთხვევაში, ვერაფერს ვერ ვიზამთ, რადგან ვადები იყო შემჭიდროვებული. კარგი იქნება, არასაარჩევნო დროს დაინტერესდეს ვინმე და დაიწყოს საზღვრებთან დაკავშირებით მუშაობა. მე ვუთხარი ქალბატონ დარეჯანს, რომ აღმაშენებლის ქუჩასთან დაკავშირებით, მიმართოს ცენტრალურ კომისიას. ამ თემაზე ჩვენ არ ვმუშაობთ და აღნიშნულ საკითხზე ჩვენ სხვა პასუხს ვერ გავცემთ".

ცხვიტარიას განცხადება თითქოს ჭანტურიას ქუჩას ნუმერაცია საერთოდ არ გააჩნია, როდონაიამ უარყო: „ჭანტურიას ქუჩა სადაც წერია, იქ იგულისხმება მთლიანად ჭანტურიას ქუჩა და არა კენტი და ლუწი. მათ არ აქვთ წაღებული ახალი ვერსია, რადგან როდესაც დარეჯანი ჩვენთან მოვიდა, საოლქოს საზღვრები ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამტკიცებული. მას ჰყავს საოლქოში წარმომადგენელი და შეუძლია, ახალი ვერსია წაიღოს. ეს არის საჯარო ინფორმაცია და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გამოითხოვოს და გაეცნოს".

რაც შეიძლება ზეწოლას, „ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ლიდერის თქმით, ხდება მისი კომისიის წევრების დაშინება.

„15 ადამიანი ამოვარდა კომისიის წევრების სიიდან, კიდევ კარგი მყავს რეზერვი და ბევრი უშიშარი ადამიანი. მისი ნებით მოსული ადამიანები, რომლებიც მეუბნებოდნენ, თქვენი იმედი მაქვს და მხოლოდ თქვენს კანდიდატს ვენდობითო, არათუ კომისიის წევრობიდან, არამედ, პარტიიდანაც წავიდნენ, რადგან უთხრეს, რომ ქმარს, შვილს დაატოვებინებდნენ სამუშაოს და იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობა მეფობს, სამსახურის გარეშე დარჩენის შეეშინდათ. თუმცა გასაოცარი ის არის, რომ მათ თავადვე მოიყვანეს შემცვლელები. ამ დონემდე მოგვდევენ, მიუხედავად ზეწოლისა, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ".

ცხვიტარია აღმოჩენილ დარღვევებსა და ზეწოლაზე, ფოთში ჩამოსულ საია-ს წევრებსა და არასამთავრებო ორგანიზაციებს ესაუბრა. „შეხვედრაზე საიასა და არასამთავრებო ოგანიზაციების მხრიდან აღინიშნეს კიდეც, რომ მთელი სამეგრელოს მასშტაბით, თითქმის ყველა პარტია მოვიარეთ და არცერთ პარტიას ასეთი არგუმენტირებული ფაქტები არ ჰქონიაო. ჩვენ რომ ხელისუფლებაში ვყოფილიყავით, ამხელა ლაფსუსს შეგვარჩენდნენ? ამ ხელისუფლების სიბინძურით მოსვლას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება, სწორედ ამიტომ დაამთავრებს ეს ხელისუფლება ამ არჩევნებზე ბოგინს".

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი– დემოკრატიის ფუნდამენტი" ფარგლებში. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

გოჩა ქაჯაია: „ისეთი სამუშაობიც შევასრულეთ რომელიც საარჩევნო დაპირებებში არც კი გვქონია„

დასაწყისი 2- გვ.

ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ნოჯიხევის გაზიფიცირება, სოფელ ხეთაში კი უკვე 6300 აბონენტს მიეწოდება გაზი. მომდევნო წლებში არც-ერთი სოფელი არ უნდა დარჩეს გაზიფიცირების გარეშე.

– თქვენი მუშაობის პერიოდში რომელ პროექტს გამოყოფდით?

– კულტურის სახლი,რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათია, უტარდება სარემონტო სამუშაოები, ასევე დავიწყეთ სპორტ -კომპლექსის გაკეთება, სადაც სპორტის რამოდენიმე სახეობა იქნება წარმოდგენილი, რომელიც 3 მილიონი ლარი ჯდება. შეიძლება ითქვას, რომ ხობში ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები ხოლციელდება და ძნელია გამოყოფა.

-ფაროსანა, რომელმაც მოსახლეობა მოსავლის გარეშე დატოვა, რა კეთდება მავნებლის წინააღმდეგ?

-სოფლის მეურნეობის სამინისტრო,სურსათის ეროვნული სააგენტო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ყველანი აქტიურად არიან ჩართულნი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, თუმცა, ეს პრობლემა ასე ადვილად მოგვარებადი როდია. ამ ბრძოლაში უნდა ჩაერთოს მოსახლეობაც, ამიტომ ყველა ოჯახს, ურიგდება 1 ლიტრი პესტიციდი, რომელიც ორ ჰექტარამდე მიწას ყოფნის. ასევე დაურიგდათ ფაროსანას დამჭერი საშუალება, რომელიც ძალიან ეფექტურია. ჩვენ გვაქვს აქტიური აგიტაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ ამ ფაროსანას. არის ასეთი ფერმერი მერაბ ნადარაია, რომელმაც რამოდენიმეჯერ შეწამლა და 95% მოსავალი აქვს.

-დაპირება რომლის შესრულება ვერ მოასწარით?

-ჩვენ არ ვიძლევით საარჩევნო დაპირებებს, ვამბობთ იმას რასაც რეალურად ვასრულებთ. ისეთი სამუშაობიც შევასრულეთ რომელიც საარჩევნო დაპირებებში არც კი გვქონია. საერთოდ არ გვეგონა, რომ ხობში ბეტონის საფარის დაგებას განვახორციელებდით მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ. ხობს თავი ბიუჯეტი აქვს არ არის გამოთანაბრებული ტრანსფერზე. ჩვენი ძირითადი დონორი არის ყულევის ტერმინალი, ასევე წარმოებებიდან შემოსული გადასახადებით.

– წელს რამდენი იყო ხობის ბიუჯეტი?

– 8 მილიონი დავგეგმეთ, მაგრამ 15 მილიონს და მეტსაც ვცდებით. ბიუჯეტის შევსება ხდება რეგიონალური და მუნიციპალური შემოსავლებით.

–მერობისათვის ბრძოლაში, კონკურენტად ვის მიიჩნევთ?

– კონკურენტად? წინასწარ არ მინდა რამის თქმა, 21 ოქტომბერი დაგვანახებს ყველაფერს. მოსახლეობასთან ურთიერთობა, შეხვედრები, დამოკიდებულებები და ჩვენი გაკეთებული საქმეები, ცხადყოფს, რომ ჩვენ ამ არჩევნებს უპირობოდ მოვიგებთ.

ხობის საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი სამი საათი მიმდინარეობს

დასაწყისი პირველი გვერდიდან

გვქონდა, ძილის რეჟიმით უზრუნველყოფილნი იყვნენ ბავშვები, მაგრამ სასწავლო პილოტირება, მზაობის პროგრამის სახით დაიწყო და ჩვენც დავნერგეთ ეს პროექტი. ვიცით რომ მშობლები უარყობითად არიან განწყობილნი, არასასწავლო მიმართულებით არამედ ჯგუფების, ასაკობრივი დაყოფის გამო".

კვიკვინიას მიერ მოყვანილ კანონში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" № 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში კი ვკითხულობთ: „სასწავლო საადმზრდელო დღის ხანგრძლივობა 9 საათია, სამჯერადი კვებით. ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტით - სასკოლო მზაობის პროგრამის ხანგრძლივობა 3 საათია. კანონში სხვა არაფერია ნათქვამი ხობში მიმდინარე ინიციატივის შესახებ.

ჩვენ ვიმყოფებოდით ხობის №1 ბაღში, რომელსაც კაპიტალური რემონტი ახალი სასწავლო წლის დადგომამდე ჩაუტარდა. ბაღი სრულად ადაპტირებულია ახალ კანონთან. ასევე მზაობის ჯგუფს ყავს ცალკე პედაგოგი, თუმცა ამას ვერ ვიტყვით სოფლის ბაღებში, სადაც შერეული ჯგუფი ყავთ და მზაობის ჯგუფსაც და დანარჩენ აღსაზრდელებს ერთი პედაგოგი ყავთ. შემცირდა ძიძის და დამლაგებლის შტატიც, თითქმის გაუნახევრდათ ხელფასი ბაღის პედაგოგებს. ახალი ხიბულის „პატრიოტთა ალიანსის" მაჟორიტარობის კანდიდატის თქმით „გაუგებარია რატომ არის ჩვენი რაიონი პიონერი. ამ პროგრამის გამო ბავშვები მხოლოდ 3 საათით არიან ბაღში. ქალაქში ტრანსპორტის პრობლემა მოხსნილია და მშობელს გადაადგილება არ უჭირს. სოფელში რა უნდა ქნას მშობელმა, რომელსაც ერთზე მეტი ბავშვი ყავს და ბაღიდან 6 კილომეტრით მოშორებით ცხოვრობს? თან ბაღში არ ყავთ ძიძა და დამლაგებელი. როდესაც მასწავლებელი ერთ ბავშვს საპირფარეშოში გაიყვანს, ოთახში დარჩენილი 20 ბავშვი რჩება მარტო. ისმის კითხვა, არის თუ არა ის ბავშვები უსაფრთხოდ სანამ ოთახში მარტონი არიან?"

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" გაესაუბრა ხობის რამდენიმე სოფლის საბავშო ბაღის აღსაზრდელის მშობელს. მზაობის პროგრამისადმი მოწონება არც ერთ მშობელს არ დაუმალავს, მაგრამ ყველა მათგანისათვის მძიმეა ის პროცესი. თუმცა, არცერთმა მათგანმა პრესისათვის თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ნინო, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი: „საბავშვო ბაღები შექმნილია როგორც ბავშვების განვითარებისათვის, ასევე მშობლის ხელშეწყობის მიზნით. ბავშვის განვითარების კუთხით ხელშეწყობა კარგია მაგრამ მშობლის ხელშეწყობას სად ვხედავ? უფროსი სკოლაში დადის, ორი ბაღში, აქედან ერთი მზაობის ჯგუფში. მთელი დღე მიწევს ქუჩაში სიარული. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გვიდგება, პირადად მანქანა არ მყავს და მიწევს დილით ბავშვები წავიყვანო, სამ საათში ერთი წამოვიყვანო, ცოტა ხანში ისევ წავიდე, ბავშვი მეუღლესთან ან მეზობელთან დავტოვო და კვლავ ბაღში გავიქცე".

სოფიკო: „მეც და ჩემი მეუღლეც ვმუშაობთ, ამიტომ ჩემს ხანდაზმულ დედამთილს უწევს ბაღში სიარული, უმცროსი კი სამსახურის შემდეგ მე მომყავს. პროგრამა კარგია მაგრამ რატომღაც მარტო ჩვენი რაიონისათვის აქვს ცუდი მხარე. მე წავიკითხე კანონი ბაღების შესახებ. მეეჭვება, რომ მოხდა კანონის მორგება, რადგან იქ წერია რომ მზაობის პროგრამას უნდა დაეთმოს 3 საათი და არა ბაღი დამთავრდეს სამი საათის შემდეგ. კანონი ყველასათვის ერთნაირად უნდა კანონობდეს".

ნუგზარი: „მე კანონებში ჩახედული არ ვარ, მაგრამ გთხოვთ თქვენ დაგვეხმაროთ. თუ ეს კანონით არის გაწერილი ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს. გამაგებინოს ვინმემ რატომ კითხულობს ამ კანონს სხვადასხვა ინტერპრეტაციით სხვადასხვა ბაღები? უფრო სწორედ ჩვენი გაერთიანება და დანარჩენი გაერთიანებები? აქ ალბათ ფინანსური საკითხია, პედაგოგებს შეუმცირდათ ხელფასები, სოფლის ბაღებში მოხსნეს ძიძა და დამლაგებელი და ვინ დამაჯერებს, რომ ეს კანონი ბიუჯეტს არ მოარგეს?"

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი

პროფკავშირების ხობის რაიონული ორგანიზაციის თამჯდომარე ლალი ჩიტაია როგორც ამბობს საკითხით დაინტერესდა და ხელმძღვანელობისგან იგივე პასუხები მიიღო. ჩიტაიას განმარტებით: „როგორც კი გავიგე ამ ინიციატივის შესახებ შევხდი გაერთიანების ხელმძღვანელს და ვესაუბრე კანონის არასწორად აღქმის შესახებ."

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების იურისტი გრიგოლ ბაკურაძე აღნიშნულ ინიციატივას აბსურდულს უწოდებს. მისი განმარტებით: „კანონში გარკვევით წერია, რომ აღსაზრდელი ბაღში უნდა იმყოფებოდეს 9 საათი, უნდა იკვებებოდეს სამჯერ და აქედან მზაობის პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს 3 საათით და არა ისე, როგორც ამას ხობის გაერთიანება ახორციელებს. აქ ადგილი აქვს კანონის თვითნებურ აღქმას".

ელისო კვიკვინიას კი თავისი არგუმენტები მოყავსისინი მონაწილეობას ღებულობდნენ კანონის მიღების პროცესში. გაიარეს ტრენინგებიც. „როდესაც ბაღები ჩამოყალიბდება "აიპად" მას ექნება დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება გაახანგძლივოს სასკოლო მზაობის ჯგუფი".

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აღნიშნული ინიციატივა ბიუჯეტის შემცირების გამო მოხდა კვიკვინიამ კატეგორიულად უარყო. „არ ვთვლით, რომ ვიჩქარეთ, პირიქით ბავშვები ეჩვევიან ამ სიტუაციას, ვინც ამ პროგრამას გადის ისინი გამორჩეულები არიან დაწყებით კლასებში, მე დაწყებითი კლასის მასწავლებელი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ამ პროგრამამ გაამართლა. ამიტომ არ არის ცუდი მიმართულება. მთავარია, მშობელმა ზუსტად გაიგოს და მიხვდეს პროგრამის ავკარგიანობას. სანამ დაიწყებოდა ბაღი მათ ქონდათ ინფორმაცია, რომ სასწავლო პროცესი 3 საათი იქნებოდა. მაშინ, პრეტენზია არავის გამოუთქვამს. როგორც ვიცით ყველა რეფორმას დასაწყისში ახლავს სირთულეები, მაგრამ ხომ უნდა დავიწყოთ ოდესმე?".

საადმზედელო დაწესებულების უფროსი დარწმუნებულია, რომ ყველა მუნიციპალიტეტის გაერთიანების უფროსი, არჩევნების შემდეგ 3 საათიან რეჟიმზე გადავა. „სანამ დავიწყებდი რეფორმის განხორციელებას, დავუკავშირდი ყველა მუნიციპალიტეტის გაერთიანებას, შევთავაზე და გავაცანი ჩემი ნაბიჯები. ჩემი შეხედულებით ვფიქრობ, რომ ყველა არჩევნების დამთავრებას ელოდება და შემდეგ განახორციელებენ ამ პროგრამას".

კვიკვინიას განმარტებით, საპილოტო პროგრამას უკვე სამი წელია რაც ანხორციელებენ. მისი აზრით, ბავშვი რომელიც ეჩვევა ამ სასწავლო პროცეს, არ გაუჭირდება სკოლასთან შეგუება. ის მიჩვეული იქნება რომ დღის პირველი ნაწილი სკოლას და სწავლას უნდა დაუთმოს, მეორე ნაწილი კი ოჯახში მშობლების გარემოცვაში გატაროს.

მაია ჩხარტიშვილი: „მომეცით შანსი და მე გავამართლებ თქვენს იმედებს„

დასაწყისი 3- გვ.

ბის დაფინანსება უმუშევარი ახალგაზრდებისთვის, დევნილი ახალგაზრდებისთვის, შშმ ახალგაზრდებისთვის. სულ ვფიქრობ, რატომ ყველაფერი ზუგდიდში? მაგრამ ბოლო სიტყვა მერს უნდა ეთქვა, დანარჩენი მოგვარებული მქონდა, სამინისტროც მხარს მიჭერდა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან მერს უნდა ქონოდა ურთიერთობა, რადგან ჩემი პოზიცია ამის უფლებას არ მაძლევდა. მერმა კი რა ქნა? არაფერი.

— როგორც თქვენ ამბობთ, ქალაქს განვითარების კონცეფცია არ გააჩნია, მაინტერესებს გამარჯვების შემთხვევაში თქვენ ამ კუთხით რას გეგმავთ?

— როდესაც მუშაობა დავიწყე, მოვითხოვე ეჩვენებინათ აღნიშნული დოკუმენტი, მითხრეს არ გვაქვსო. მაშინ შევთავაზე ჯგუფის ჩამოყვანა, ამაზეც უარი თქვეს. გასაოცარი ის იყო რომ არაფერი არ ქონდათ, ანგარიში მოვითხოვე და ცოტა ხანი გაოცებული მიყურებდნენ, ვინ არის ეს ჩხარტიშვილი, რა ანგარიშებს გვთხოვსო. უპირველესად უნდა შედგეს ქალაქის განვითარების გეგმა. არ ვაპირებ პრიორიტეტების განსაზღვრას. პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს მოცემული რესურსების, არსებული რეალობისა და ხალხის მოთხოვნების ადეკვატურად. ეს არის დემოკრატია. არსებული პრიორიტეტების განსაზღვრაში, არათუ ხალხს, საკრებულოს წევრებსაც არ მიუღია მონაწილეობა. შეიძლება ზოგიერთმა მიიღო მაგრამ მე, როგორც სოციალური კომისიის თავმჯდომარეს ნამდვილად არ მიმიღია მონაწილეობა და ვთვლი, რომ ხალხის მოთხოვნები აინტერესებთ. დარწმუნებული ვარ, გამარჯვების შემთხვევაში მუშაობა ძალიან მძიმე იქნება. მე ამ დინებას, რომელიც დღეს არის, ვერ გავყვები. იმას მაინც უნდა მივაღწიოთ, რომ როდესაც მოვა ახალი, ნიჭიერი თაობა ნულზე ან ერთზე დავახვედროთ ქალაქის განვითარება და არა მინუს 50-ზე.

— თქვენი მერობის შემთხვევაში, რამდენად საჯარო იქნება სხვადასხვა კომისიის სხდომები თუ სხვადასხვა საკითხთა განხილვები. დამეთანხმებით, რომ არცერთ მგავს განხილვას არცერთი ჟურნალისტი არ ესწრება. პირადად მქონდა მცდელობა დავსწრებოდი ერთ-ერთი კომისიის სხდომას, თუმცა კარი მომიხურეს იმ საბაბით, რომ კომისიის სხდომა მიმდინარეობსო.

— ძალიან საინტერესო კითხვაა, მინდოდა რომ ჩემი კომისიის სხდომას ჟურნალისტები დასწრებოდნენ. ძალიან საინტერესო სხდომები მქონდა ხოლმე. დასანანია, რომ არ ესწრებოდით. სხვა კომისიის თავმჯდომარეების არ ვიცი, მაგრამ, მე სიამოვნებით მიგიღებდით და რაც მთავარია ჩემი მერობის შემთხვევაში არანაირი შეზღუდვა არ გექნებათ. ჩემი კარი ყოველთვის ღია იქნება ჟურნალისტებისათვის.

— როგორი იქნება თქვენი თანამშრომლობა მოსახლეობასთან?

— აუცილებელია მოსახლეობის მიღების დღეები იყოს. ძალიან მინდოდა გაზაფხულზე მოქმედებაში მომეყვანა კანონი, უბნების კრებაზე. არის ასეთი კანონი მიღებული, მაგრამ, უჯრაში ჩადეს და არ აამოქმედეს, არც, სხვას აძლევენ ამოქმედების უფლებას. კანონის ფარგლებში ადგილობრივ მთავრობასთან მოსახლეობა შეთანხმებულად მიიღებდა მონაწილეობას რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მე თავდაუზოგავად ვიმუშავებ, მაგრამ ჩემი წასვლის შემდეგ მინდა მოსახლეობა მივაჩვიო თუ როგორ უნდა აკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება და ყველაზე მთავარი, როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობაში.

— მერობის შემთხვევაში, რა კრიტერიუმებებით შეარჩევდით გუნდს?

— მაქვს სამი კრიტერიუმი, პირველი – კეთილსინდისიერება, ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია, მეორე- პარტიოტიზმი, ქვეყნის, ქალაქის და მოყვასის მიმართ, მესამე – პროფესიონალიზმი. ფოთში ძალიან ბევრი ღირსეული და პროფესიონალი ადამიანია და მე მათ ჩემი გუნდის წევრად მოვიაზრებ.

გოჩა კურდღელია: „მთელ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას მოვახმარ იმ საქმის კეთებას, რაც სარგებელს მოუტანს ჩემს ქალაქს„

დასაწყისი 3- გვ.

განვითარდეს. საერთოდ, სამუშაო ადგილებს ქმნის დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. დღევანდელი რეალობა კი ასეთია - შექმნილია სამსახურები, რომელთა სპეციალისტების გადამზადებაზე გარკვეული ხარჯებია გაღებული. ვფიქრობ, შევინარჩუნოთ და დავხვეწოთ მათი ფუნქციები. ყველა აიპს თანაბრად უნდა გაუნაწილდეს საქმეები. სამუშაო და საქმე მართლაც ძალიან ბევრია და მათი შრომა უნდა დაფასდეს. დღეს ახალგაზრდებს კერძო სექტორში მუშაობა ურჩევნიათ ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურაში. მიმაჩნია, რომ მათი როლი უნდა გაიზარდოს და საქმიანობა პრესტიჟული გახდეს. ნამდვილად არ ვფიქრობ მცირეოდენი ეკონომიისათვის ხალხის შემცირებას, პირიქით ბევრი უნდა დასაქმდეს ღირსეული და კვალიფიციური ადამიანი.

-წლებია, საუბარი არ წყდება ფოთის პორტის უკანონოდ გაყიდვის თაობაზე. ამ საკითხის მოგვარებას ყოფილი მაჟორიტარიც პირდებოდა ფოთელებს. მოსახლეობის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია ტერიტორიის შემოღობვან და საზღვაო ვაგზლის შესაძლო დანგრევის საკითხმა. თქვენს საარჩევნო პროგრამაში ეთმობა ადგილი ამ საკითხს?

- ჩვენ გაგვიმართლა, რომ პორტის მოიჯარე კომპანია მაერსკის შვილობილი "აიემპი" გახლავთ, რომელიც საკმაოდ ძლიერი კომპანიაა, აქვს შესაძლებლობები და გამოცდილება ამ სფეროში. ვხედავ იმის პერსპექტივას, რომ ჩვენი ნავსადგური კვლავ გახდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდის წყარო. ეკონომიკური მაჩვენებლებით ფოთი დღეს ლიდერია საქართველოში.

-ამბობთ, რომ პორტი ძლიერია ეკონომიურად. მიუხედავად, ამისა უკვე წლებია პორტმა დაფინანსება შეუწყვიტა საფეხბურთო კლუბს „კოლხეთი 2013", რომელიც ცუდი ფინანსურ მდგომარეობაშია. შესაძლოა ფოთი ფეხბურთელთა კლუბის გარეშე დარჩეს, მაშინ, როდესაც ფეხბურთის აკვნად იწოდება. როგორც ჩვენთვის ცნობილია არც თუ ისე სახარბიელო ურთიერთობა აქვთ პორტის ხელძღვანელობასა და მერიას.

-თუ ქალაქის მერად ამირჩევს მოსახლეობა, ვეცდები ვიმუშაო ინვესტორებთან, რათა მაქსიმალურად იგრძნონ კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობა, რომ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის სოციალური პროექტების განხორციელებაში. რამდენადაც ვიცი, არსებული კომპანია მონაწილეობს მსგავს პროექტებში. სასურველია მეტი და ამის მოგვარებას აუცილებლად ვეცდები.

კულტურა

ნიკო ნიკოლაძის კოშკში სარეაბილიტაციო სამუშაოებისას აღმოჩენილ არტეფაქტებს გეოლოგები სწავლობენ

თეკლე მატკავა
ფოთი

ნიკო ნიკოლაძის ისტორიული ძეგლი ისევ არ კარგავს აქტუალურობას. რამდენიმე დღის წინ, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას კოშკის მარჯვენა ფლიგელის ნაწილში აღმოჩენილი გალავნის კედლის ნაშთისა და არტეფექტების შესასწავლად გეოლოგთა ჯგუფი ჩამოვიდა. მათი შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, ცნობილი გახდება რომელი საუკუნის არტეფაქტებთან გვაქვს.

შეგახსენებთ, რომ გალავნის კედლის ნაშთის გარდა, აღმოჩენილია მეტრნახევარ სიგრძეზე კოლხური თიხის, მოჭიქული კერამიკის, კრამიტის და რკინის არტეფექტები. როგორც ჩანს 80–იან წლებში როდესაც მარჯვენა ნაწილის მიშენება მოხდა, ეს ტერიტორია არ ყოფილა შესწავლილი. კოლხური კულტურის მუზეუმის ხელმძღვანელის განცხადებით:

„ძნელია საუბარი, იმაზე თუ რომელი საუკუნით თარიღდება ნაპოვნი ნივთები. საჭიროა სპეციალისტების ჩართვა და საფუძვლიანი გამოკვლევა".

ამ ეტაპზე ნიკოლაძისეულ კოშკზე მიმდინარეობს ძეგლის რეკონსტრუქცია, გაბლიანის განმარტებით : „კოშკში აღმოჩენილი არტეფაქტები კორექტირებას მოახდენს რეაბილიტაციის პროცესში, თუმცა ეს პროექტის საბჭოს და სააგენტოს პრეროგატივაა, არამგონია ასეთი მნიშვნელოვანი კედლის ფრაგმენტი მიწით დაიფაროს".

ისტორიული წყაროების მიხედვით, ნიკო ნიკოლაძის კოშკი ფოთისთვის წარმოადგენს უძველეს და ძალიან მნიშვნელოვან ძეგლს. კოშკი განთავსებულია ცენტრალური პარკის დასავლეთით, დვთისმშობლის ტაძრის მთავარი შესასვლელის მიმდებარედ.

გადმოცემის თანახმად, 1578 წელს ფოთს თურქები დაეპატრონენ და ციხესიმაგრე ააშენეს. თურქებისგან გათავისუფლების შედეგ 1870 წელს, შეიცვალა კოშკის გარეგნული მხარე, მოშალეს მეჩეთი და შესასვლელში დააშენეს ორსართულიანი კოშკი. 1896 წელს ნიკოლაძემ ორი სართული ისევ დააშენა და საბოლოო სახე კოშკმა მეოცე საუკუნის დასაწყისში მიიღო. ნიკოლაძემ პარიზიდან ჩამოიტანა, 1870 წელს მექანიკური საათები და კოშკის ოთხივე მხარეს განათავსა, თუმცა დღეს მხოლოდ ერთი საათი ფუნქციონირებს და ისიც დრო პერიოდულად ჩერდება ხოლმე. მექანიკური საათის გარდა კოშკზე უამრავი პრობლემაა, მათი მოგვარება ძალიან ბევრ დამსვენებელს მოიზიდავს. ბევრი დეტალია საინტერესო, როდესაც ხვეული კიბით კოშკში ადიხარ და ეზიარები შენი ქალაქის უძველეს ისტორიას.



ბოლო რამოდენიმე წელია რაც აქტუალური გახდა კულტურული ძეგლის რესტავრაცია–რეკონსტრუქციის საკითხი. რეალურად ციხე-კოშკს ესაჭიროება რეაბილიტირება, რადგან მოხდეს პირვანდელი სახის დაბრუნება. 2012 წელს დემონტაჟს უპირებდნენ ნიკოლაძისეული კოშკის ერთ ფლიგელს, რომელი საკათედრო ტაძრის კომპლექს უკავშირდებოდა, იმ პერიოდში ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობა მიმდინარეობდა, ამიტომ შესაძლებელი იყო ძეგლის ნგრევა. ამ პროცესებს, საზოგადოების ნაწილის პროტესტი მოჰყვა. გაიმართა აქციები პოლიტიკური პარტიების მიერ, რომლებიც პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდნენ. მათ შორის იყო დღევანდელი მმართველი პარტია და მაშინდელი მაჟორიტარობის კანდიდატი ეკა ბესელია „ეროვნულ–კულტურულ ფასეულობას ჩვენ დავიცავთ, რა არგუმენტიც არ უნდა ჰქონდეთ. მათ ამ განზრახვაზე ხელი უნდა აიღონ". პროცესებში ჩაერთო ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი პოლიტიკოსი სალომე ზურაბიშვილი, რომლის განცხადებით "ტაძრისა და ქალაქის აღსადგენად უნდათ რომ დაანგრიონ ისტორიული კოშკი, ამისთვის მოიგონეს "საბჭოთა მინაშენის" სტატუსი. სინამდვილეში უნდათ გააქრონ ნიკოლაძის სახელი."

"ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი თაობა განძად თვლის წინაპრებისგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს. აზიაში და ჩვენთანაც, სადაც ყველას დედააზრი ის არის, რომ მე ვარ და სხვა არავინო, ყოველი ახალი თაობა ყოვლად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს". დღეს განვითარებულ მოვლენებს ზუსტად შეესატყვისება ეს ციტატა,

კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ნათქვამი: "ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან მეცნიერული კრიტერიუმებით დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი". წლების წინ ბაგრატის ტაძრის რესტავრაციამ იმოქმედა ძეგლის ავთენტურობაზე, საინტერესოა რა ბედი ელის რეაბილიტირებულ ნიკოლაძისეულ კოშკს და ხომ არ დაკარგავს ძეგლის სტატუსს?

ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

სპორტი

ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში

6-7-8 ოქტომბერს საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში 2005-2006 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ოზურგეთის, სენაკის, ფოთის როგორც ჭაბუკები, აგრეთვე უმცროსი ასაკის ნორჩი კალათბურთელები. I ადგილის მფლობელი და ტურნირის გამარჯვებული გახდა ოზურგეთის ნაკრები გუნდი (მწვრთნელი აზა მჟავანაძე), II ადგილი მოიპოვა ფოთის „ირაომ" (მწვრთნელი როლანდ გარუჩავა), III საპრიზო ადგილზე გავიდა სენაკის გუნდი (მწვრთნელი თემურ ნაჭყებია), ხოლო IV ადგილი მოიპოვა ფოთის „ირაოს" ნორჩ კალათბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი გიორგი იოსავა). გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, დიპლომებითა და მედლებით.

ფოთის პირველობა მინი ფეხბურთში

7-8 ოქტომბერს ფოთში რაგბის სასპორტო სკოლის სტადიონზე და მალთაყვის სანაპიროზე საქართველოს ეროვნულმა ფედერაციამ „სპორტი ყველასათვის" ჩაატარა ფოთის პირველობა მინი ფეხბურთში 2004-2006 წ.წ. დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის და რეგიონალური პირველობა მძლეოსნობაში სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის მაია აზარაშვილის თასზე. მინი ფეხბურთში მონაწილეობას ღებულობდნენ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 11, 13, 15, 21 საჯარო სკოლების, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგასაგანმანათლებლო საშუალო სკოლის და შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა - გიმნაზიის" ვაჟთა და გოგონათა ნაკრები გუნდები. ვაჟთა შორის გამარჯვებული გახდა 3 საჯარო სკოლა, II ადგილი მოიპოვა 15 საჯარო სკოლამ, ხოლო III საპრიზო ადგილზე გავიდა 2 საჯარო სკოლა. გოგონათა ასპარეზობაში გამარჯვება მოიპოვა 4 საჯარო სკოლამ, II ადგილზე გავიდა 7 საჯარო სკოლა, III ადგილი მოიპოვა 5 საჯარო სკოლამ.

მძლეოსნობის ასპარეზობაში, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა და ფოთის ვაჟთა და გოგონათა ნაკრები გუნდები. მედლები გათამაშდა 500 მ, 1000 მ, 2000 მ დისტანციებზე.

500 მ დისტანციაზე ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა ნიკო ჩაგანავამ. 1000 მ დისტანციაზე ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა დათო გოგიამ. 2000 მ დისტანციაზე ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა საბა ხვიჩავამ, II ადგილი - გიგა ჟვანიამ, II ადგილი - ვაჟა ძაგანიამ.. 1000 მ დისტანციაზე გოგონათა შორის გამარჯვება მოიპოვა ნინო მიქავამ.

საქართველოს ჩემპიონატის პლეიოფის შეხვედრა რაგბში

6 ოქტომბერს ქუთაისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის პლეიოფის შეხვედრა „ბ" ლიგის გუნდებს ქუთაისის „შავ აია"-სა და ფოთის „კოლხი რაინდებ"-ს შორის . ფოთელებნა 29:5 დაამარცხეს მოწინააღმდეგე. გუნდს დარჩენილი აქვს 2 საშინაო მატჩი რომელიც 20 ოქტომბერს გაიმართება თბილისის „არმაზ"-სთან. წარმატების შემთხვევაში დიდი ალბათობაა იმისათვის რომ ფოთის გუნდმა საპრიზო ადგილისთვის იბრძოლოს.

ხოლო რაც შეეხება მეორე ლიგის გუნდს გასვლითი მატჩი ჰქონდა ასპინძაში, სადაც სამწუხაროდ ფოთელი სპორტსმენები დამარცხდნენ. ამჟამად ჩემპიონატზე 1 კვირიანი შესვენებაა და ჩემპიონატი 22 ოქტომბერს განახლდება, სადაც ფოთის „კოლხი რაინდები" შინ დახვდება ქედის გუნდს, მატჩი 18:00 საათზე დაიწყება. წარმატებებს ვუსურვებთ დიდსა და პატარა მორაგბეებს.

ნინო ქერქაძის ხსოვნას

სიკვდილი ყოველთვის მიუღებელია, მაგრამ სიკვდილისაა და სიკვდილიც. შენს სიკვდილზე საზარელი რა უნდა იყოს, მთელი საქართველო შეძრა ამ საშინელმა ტრაგედიამ. საზარელია როცა ასე ახალგაზრდა ტოვებ შენს მშობლებს, ოჯახს შვილებს, ნათესავებს და ადამიანებს, რომლებიც უბრალოდ გიცნობდნენ და შეგხაროდენ. წუთისოფლის ბორბალი ყოველთვის ერთნაირად არ ბრუნავს. ზოგს ახარებს და ზოგიერთს მწარე ნაღველს ურევს. თითქოს არათანაბრადაა განაწილებული და უსამართლოდ, რატომ გაგვიმეტა ასე განგებამ. რატომ მოგწყვიტა ამ წუთისოფელს?!

ამ წუთისოფლის სამზეოს, სადაც ასე გიხაროდა ყოფნა. წინ რამდენი სიხარული გელოდა. რამ შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც ასე გაუსაძლისია. დრო ყველაფრის მკურნალიაო ამბობენ, მაგრამ ამ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს. შენს შემდეგ დარჩენია სიცარიელე, რომელიც სიჩუმის ენით შემზარავად ღრიალებს. ყვირის შენს არ ყოფნას, დრო ვეღარ კურნავს ტკივილებს, მზე საღღაც გაქრა შენთან ერთად. შენ აღარახარ! შენს ნაბიჯებს ისევ ელიან შენი შვილები კარს მიღმა. შენს დაძახილს ელოდება შენი დედა. გაუსაძლისია ეს ყველაფერი. ამბობენ, ადამიანის სიცოცხლე გრძელდება მანამ, სანამ ის ახსოვთ, ენატრებათ და იგონებენ. შენ მუდამ ემახსოვრები შენს ქალაქს ღიმილიანი , ხალასი და სიცოცხლით სავსე.

ჩინეთში შესაძლოა ახალი ტიპის ადამიანის ნაწილები აღმოაჩინეს

ჩინეთში პალეონტოლოგებმა შესაძლოა აქამდე უცნობი ადამიანის ტიპის ნაწილები აღმოაჩინეს. ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ წერს. აღმოჩენილი ადამიანი ჩინეთში 11-14 ათასი წლის წინ ცხოვრობდა.

არქეოლოგებმა სულ 5 ინდივიდის ძვლებს მიაგნეს. აქედან სამი მათგანი ჯერ კიდევ 1989 წელს სიუნნანის პროვინციაში, ერთ-ერთ გამოქვაბულში იპოვნეს . მოგვიანებით, კიდევ ერთი ჩონჩხი აღმოჩნდა გუანსის ავტონომიურ რაიონში სოფელ ლუნლინთან.

ჟურნალ ოშ ნე-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, პალეონტოლოგები წერენ, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ აღმოჩენილი ნაწილები ნამდვილად ადამიანის უცნობ სახეობას ეკთვნის.

მეცნიერთა ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დარენ კანრო წერს, რომ კლასიფიკაციის პრობლემა ნაწილობრივ იმაშიც მდგომარეობს, რომ „ადამიანის არსებული სახეობის ანუ ომო საპიენს-ის საყოველთაოდ მიღებული ბიოლოგიური განსაზღვრება არ არსებობს“.

აღმოჩენილი ჩონჩხების თავის ქალა და კბილები ერთმანეთს ძალიან ჰგავს, რაც იძლევა საფუძველს იმის ვარაუდისთვის, რომ საქმე ეხება ერთსადაიმავე პოპულაციას.

თუმცა, აღმოჩენილი ძვლები უჩვეულოა- თავის ქალას ერთი ნაწილი შედგება ისეთი ელემენტებისგან, რომელთა ნაწილიც ფორმის მიხედვით ემთხვევა თანამედროვე ადამიანის ძვლებს, ხოლო მეორე ნაწილი თავისი მოყვანილობით წააგავს ომო-ს ჯგუფის გვიანდელი ადამიანების თავის ქალას.

გამოქვაბულში ნაპოვნი ადამიანების თავის ქალა მომრგვალებული და სქელია. ამ ტიპის ადამიანებს ბრტყელი ცხვირი, ხოლო ქვედა ყბა წინ გამოწეული ჰქონდათ. მიუხედავად გამოწეული ყბისა, აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანებს არ ჰქონდათ თანამედროვე ადამიანის მსგავსი ნიკაპი.

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს რომ აღმოჩენილი ჩონჩხები ჰიბრიდული ადამიანის ნიმუშებია, რომელიც “ჰომოს” ტიპის ადამიანთა განსხვავებული დაჯგუფებების სისხლის აღრევის შემდეგ ჩამოყალიბდა.

წერილზე გამოხმაურება

გაზეთ ,,მთავარი თემა სამეგრელოში №24-ში გასულ სტატიას ,,დახმარების მოლოდინში ნაზიბროლა ღოღობერიძე მოყვა სწრაფი რეაგირება ენერგო პრო ჯორჯიას მხრიდან. შეგახსენებთ, რომ სოციალურად დაუცველ ნაზიბროლა ღოღობერიძე მარცხენა ბარძაყის ძვლის ყელის სუპკაპიტალური მოტეხილობის გამო ლოგინსაა მიჯაჭვული. ავადმყოფი ქალის მგომარეობას ამძიმებდა ისიც, რომ მარტის თვიდან არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. შუქის გათიშვის მიზეზი დავალიანება გახლდათ, რომელიც თითქოსდა ნაზიბროლა ღოღობერიძეს დაუგროვდა. რეალურად კი იანვრის თვეში ფოთში გარდაეცვალა ძმა, ღოღობერიძეს საკუთარ ბინაში დაბრუნება მოუწია მხოლოდ 5 მარტს. ჩვენი ჩარევის შემდეგ ღოღობერიძეს აღუდგა ელექტრო ენერგია. ნაზიბროლა ღოღობერიძე კვლავ დახმარების მოლოდინშია. მისი ნდობით აღჭურვილი პირის, ნანა ციცქარავას სახელზე ბანკში გახსნილია ანგარიში: 790000000878178800

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი ეთვალი თვალსაქანელოში

გაზეთი ,,მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი ,,მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ “მთავარი თემა სამეგრელოში“ შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები, რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები, მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი, მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

ეთვალი თვალსაქანელოში *თქვენი პროგლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.